პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 15 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 82 (780) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

# ქართული წითელი ჯარი მხურვალედ ესალმება ძვირფას სტუმარს, სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ბელადს ამხ. მ. ფრუნზეს.

## კომუნისტური ძალები იზრდებიან.

ბურჟუაზიის მდგომარეობა ევროპაში ამ ბოლო ხანებში გამოკეთდა. ის ეკონომიურად ცოტათი მოღონიერდა, წელში გაიმართა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სამუდამოთ განიკურნა ომის შემდეგ მიღებულ ჭრილობებისაგან. სრულიადაც არა.

დღევანდელი მისი გამოჯანმრთელება არ არის ხანგრძლივი ხასიათის. ამხ. ზინოვიევის თქმით არ იყოს ბურჟუაზიის მოკეთება ისეთივეა როგორც ჭლექით შეპყრობილ ადამიანისა. ბურჟუაზია მართლადაც რომ გამაგრებულიყო საფუძვლიანად მაშინ ჩვენ შევამჩნევდით კომუნისტურ მოძრაობის შესუსტებას კაპიტალისტურ ქვეყნებში. სინამდვილეში კი ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. მიუხედავათ იმისა, რომ კაპიტალიზმმა შესძლო ნაწილობრივ თავისი ღონის მოკრეფა, კომპარტიების გავლენა დაბალ არამც თუ მცირდება, არამედ უფრო მეტად იზრდება. ამის საუკეთესო მტკიცებას წარმოადგენს ბელგიის კომპარტიის მიღწევები უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე.

ბელგიის კომპარტია ახალგაზრდა პარტიაა. ამავე დროს ბელგიის პროლეტარიატს კი მეტად მდიდარი ისტორია აქვს თავის კლასობრივ მტერთან ბრძოლისა. მაგრამ საუბედუროთ ის იმყოფება სოციალ-გამყიდველების პარტიის გავლენის ქვეშ. ცნობილი მოღალატეები როგორც ვანდერველდე, დებრიუკერი და სხვ. დიდის ნდობით სარგებლობენ ბელგიის მუშებში. ცხადია ასეთ პირობებში ბელგიის ახალგაზრდა კომპარტიას ძლიერ უძნელდება მუშაობა მუშათა მასების თავის მხარეზე გადმოსაბირებად.

მაგრამ მიუხედავათ ამისა ბელგიის კომპარტია მტკიცედ სდგას რევოლიუციონურ პოზიციებზე და ენერგიულად ებრძვის სოციალ-შეთანხმებლებს და უნდა ითქვას, რომ მისი მუშაობას მეტად საგრძნობი ნაყოფი მოაქვს. ბელგიის კომპარტიამ მიიღო მონაწილეობა უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე. ის გამოვიდა თავისი სიით და კიდეც გაიყვანა პირველად პარლამენტში ერთი თავისი წარმომადგენელი ამხ. ვან—ოვერსტრატენი. რა არის ერთი დეპუტატი? იტყვის ჩვენი წითელი არმიელი.

მაგრამ ის თუ გაითვალისწინებს იმ პირობებს, რომელშიაც ხდება არჩევნები, თუ მიიღებს მხედველობაში სოციალ-დემოკრატიის სიძლიერეს და მის დიდ გავლენას მშრომელთა მასებზე, მაშინ მისთვის ნათელი გახდება ბელგიის კომპარტიის გამარჯვება.

წინად კომპარტიას ბელგიის ბურჟუაზიულ პარლამენტში სრულიად არ ყავდა თავისი დეპუტატები და სოციალ-გამყიდველები თავისუფლად ჰყიდდენ მშრომელთა მასების ინტერესებს. ეხლა კი ამას ისინი ასე თავისუფლად ვერ მოახერხებენ ვინაიდან კომუნისტური დეპუტატი პარლამენტის ტრიბუნიდან გამოამზეურებს როგორც მათ გამყიდველობას, ისე ბურჟუაზიის შავ საქმეებს.

ამ რიგად ბელგიის კომპარტიამ უკვე მიაღწია პირველ გამარჯვებას. ჩვენ გვწამს, რომ ის გაასკეცებული ენერგიით განაგრძობს თავის რევოლიუციონურ საქმეს და სულ მოკლე ხანში თავის წითელი დროშის ქვეშ დარაზმავს მთელ ბელგიის პროლეტარიატს.

## ახ. კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

13 აპრილს დაასრულა თავისი მუშაობა კომინტერნის აღმასკომის მე-5-ე პლენუმმა.

პლენუმმა მიმართა ყველა ქვეყნების მუშურ-გლეხური ახალგაზრდობას პროტესტით თეთრი ტერორის წინააღმდეგ და მოწოდებით ყოველმხრივ დაეხმარონ რემედბსს თავის მუშაობაში.

## ახალი რადიო ამბები

### ყვითელი პროფკავშირები უარს ამბობენ შრომის დღესასწაულზე.

სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანება მოუწოდებს მუშებს გამოვიდენ 1 მაისს დემონსტრაციით 8 საათის სამუშაო დღისთვის, საყოველთაო მშვიდობიანობისთვის, სოციალურ კანონმდებლობისა და რესპუბლიკისთვის.

ამასთან გაერთიანება წინადადებას აძლევს ადგილობრივ კომიტეტებს ითათბირონ—შესაძლებელი იქნება თუ არა შესწყვიტონ მუშაობა 1-ლ მაისს ისე, რომ „რაიმე ზიანი არ მოუვიდეს მუშებს“.

კომუნისტური გაზეთები სასტიკად აკრიტიკებენ მოწოდებას, რომელიც ამტკიცებს იმას, რომ რეფორმისტები მზად არიან არ იდღესასწაულონ პირველი მაისი, სადაც მეპატრონეების მხრივ კი რაიმე საფრთხე ელის მუშათა კლასს რეპრესიების სახით.

### ვითომც არაფერი უთქვამთ ჩვენს წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის რწმუნებულმა ლატვიაში ლამბაროვმა შეეკითხა ოფიციალურად ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ მდივანს ალბატს რიგაში მომხდარ გენერალურ შტაბების კონფერენციის შესახებ.

პასუხად ალბატმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული კონფერენცია არ ყოფილა მტრული ხასიათის საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიმართ.

შემდეგ ალბატმა განაცხადა, რომ ლატვია არავითარ კავშირში არ შევა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინააღმდეგ.

ალბატის სიტყვით რუმინეთი არ ყოფილა მიწვეული კონფერენციაზე: მისი და პოლონეთის წარმომადგენელი მოუწვევლად დაესწრო კონფერენციასო.

### ამერიკული გაზეთი იაპონია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.

ნიუ-იორკის გაზეთი „ჟურნალ-ოფ-კომმერს“ სწერს: მთავრობის „ჩაურევლობის პოზიცია“, იაპონიაზე სახალინის კონცესიის მიცემის საკითხში, სწორია.

გაზეთი დასცინის იმ ხმებს, რომლებიც მიაწერენ საბჭოთა კავშირს „შეთქმულებას“, რომელსაც ვითომც მიზნად ჰქონდეს ზიანი მოუტანოს იაპონია-ამერიკის ურთიერთობას და ამტკიცებს, რომ იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულება ხელსაყრელია ორივე ქვეყნისთვისო.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის კაპიტალისტები უნდა შეურიგდენ იმ შედეგებს, რომლებიც გამომდინარეობენ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულობიდან.

### კანადის კომუნისტების გამარჯვება.

კანადის მუშათა პარტიის აღმასკომში თავმჯდომარედ და მის მოადგილეთ არჩეული არიან კომუნისტები.

აგრეთვე აღმასკომის წევრთა უმეტესობას კომუნისტები შეადგენს.

## ამხ. ფრუნზე ტფილისში

**წითელი საქართველოს დედაქალაქის პროლეტარიატს, საქართველოს მუშათა კლასს და მის მშრომელ გლეხობას ჩვენი კავშირის წითელი არმიის სახელით ძმური სალამი!**

**მ. ფრუნზე.**



### ამხ. ფრუნზეს ჩამოსვლა.

ტფილისში ჩამოვიდა საზღვაო და სამხედრო სახალხო კომისარი და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ფრუნზე.

ამავე საღამოს მან მოხსენება გააკეთა წითელ არმიის შესახებ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობაზე.

## საფრანგეთის ახალი კაბინეტის შედგენის წინ.

### მოლაპარაკება ბრიანთან.

**მერ იცვლიან ნაბიჯს.**

როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, ბრიანთან მოლაპარაკების დროს დე-მონზი და რობინო მოითხოვდენ დროებითი მთავრობის შედგენას, რომელიც ფინანსიური საკითხის მოგვარების შემდეგ უნდა გადადგეს.

ბრიანის აზრით დროებითი მთავრობის შედგენა ძნელი განსახორციელებელია.

პოლიტიკური კრიზისი ისევ მწვავედ სდგას. სოციალისტებს დარჩენიათ ორი გზა: ან შევიდენ მთავრობაში, ან გადავიდენ ოპოზიციაში. ბრიანი, რომელიც სცდილობს მიაღებინოს სოციალისტებს მონაწილეობა და მოაქციოს ისინი ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთაში, სცდილობს ამით მათი სახელის გატეხას.

# ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔ-3 ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

## ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცება.

(ამხ. შავერდოვის მოხსენება.)

თავმჯდომარეობს ამხ. შალვა ელიავა.

ამხ. შავერდოვმა გააცნო ყრილობას წარმოდგენილი კონსტიტუციის გეგმა შეტანილი შესწორებებით, რომელიც მიიღო ამ. კავ. ცენტრ. აღმასკომის მეორე სესიამ და რესპუბლიკანურმა საბჭოთა ყრილობებმა.

ამხ. შავერდოვის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია წარმოდგენილი შესწორებების შეტანით.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია ამხ. ჩხენკელის მოხსენების გარშემო.

ამხ. გუსეინოვმა საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ ისეთი დიდი გადასახადის გაწერის დროს როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს შეცდომები.

ამას გამოასწორებს მომავალში აღებული გადასახადის გაწერის წესი.

მომავალ წლისათვის დანიშნული იქნება აგრეთვე გადასახადის ვადა, რომელიც ზოგიერთ ნაკლს შესამჩნევად გამოასწორებს, რითაც გლეხებს საშუალება ექნებათ შეიტანონ ხვედრი გადასახადი თავის დროზე.

დაბოლოს ამხ. გუსეინოვმა წარმოადგინა სექციის მიერ გამომუშავებული.

### რეზოლიუცია.

**1925—26 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ.**

რეზოლიუციაში ნათქვამია: ვინაიდან წლევანდელმა ზამთარმა ა.-კავკასიას დიდი ზარალი მიაყენა, ამიტომ საჭიროა სასოფ.-სამეურნეო გადასახადის შემცირება.

მეორეს მხრივ უნდა აღრიცხულ იქნეს რამოდენიმე წლების საშუალო მოსავალი, რომლის მიხედვით უნდა სწარმოებდეს გადასახადთა გაწერა.

ამასთანავე რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მომავალში დაწესებული იქნეს გადასახადის შეტანის ვადა.

აკრეფილი გადასახადი ყოველ თემში უნდა მოხმარდეს ადგილობრივ საჭიროებებს და არ უნდა იხარჯებოდეს სხვა მიზნით.

მეექვსე სხდომა დაიხურა დღის 2 საათზე.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## მოულოდნელობა.

ცალკე მეომარის, მთელი ნაწილის, თუ არმიის ყოველი საბრძოლო მოქმედება უნდა სწარმოებდეს ისე, რომ ის უნდა იყოს სრულიად მოულოდნელი და უეცარი მტრისათვის. მოულოდნელი მოქმედება პირველ ყოვლისა აბნევს მტერს, შეაქვს მის რიგებში არევ დარევა და ხშირად მისი ძლიერი ძალა და ნივთიერი (მატერიალური) საშვალებანი ძლიერ მცირდება.

მაგალითისათვის ავიღოთ ცალკე მეომრისა ან ჯგუფის მოქმედება. თუ მეომარი მოიხმარს ადგილ—მდებარეობას თვისებას და ამით შეუმჩნეველს გახდის თავის—თავს მტრისათვის, იმ შემთხვევაში მისი მოქმედება მოულოდნელი იქნება მტრისათვის. მისი სროლა ხელ—მიშვერ, სწრაფი და მოკლე გადარბენა—ეს უკვე მოულოდნელი მოქმედებაა.

განყოფილებისა და მწყობრის მებრძოლი ჯგუფები რომელიმე ხელშემშლელ დაბრკოლების დასამარცხებლად ერთ და იმავე დროს მიმართავენ შეერთებულ ცეცხლს ამ მიზნისაკენ ეს უეცარი თავდასხმა ცეცხლით აღწევს იმ შედეგს, რომ მტრის წინააღმდეგობის კვანძი ან სრულიად დამარცხდება ან და იმდენად იბნევა, რომ უკვე აღარ შეუძლია სერიოზული წინააღმდეგობა რამოდენიმე ხნით მაინც.

მოულოდნელ მოქმედებას უნდა აწარმოებდენ აგრეთვე მსხვილი ნაწილები, რაზმები და არმიები.

შეხვედრილ ბრძოლაში, თუ მოძრაობა და ზვერვა ხელოვნურად დაფარული და შეუმჩნეველი იყო, მოულოდნელობის მიღწევა შეიძლება გადაწყვეტილების ჩქარი მიღებით და სისრულეში სწრაფად მოყვანით.

თოფით, ტყვიამფრქვევით და არტილერიითა მასიური ცეცხლის უეცარი გაჩენა და ქვეითი ჯარის მოულოდნელი წინსვლა შეაძრწუნებს მტერს და საგრძნობლად შეასუსტებს მის წინააღმდეგობის ძალას.

ამ რიგად მოქმედების მოულოდნელობა შეიძლება, და მიღწეულ უნდა იქნას ყველა საბრძოლო ოპერაციებში. მოულოდნელობის უზრუნველყოფის ფარული მზადება, ასრულების სისწრაფე და ისეთი ხერხისა და საშვალების ხმარება, რომლებიც არც კი არიან მანამდი ცნობილი. მაგალითად, იმპერიალისტურ ომში გერმანელებმა მოკავშირეებისათვის მოულოდნელად შემოიღეს ბრძოლის ახალი საშვალება ქიმიური გაზი.

ეს მოულოდნელობა ისეთი სერიოზული საფრთხე აღმოჩნდა მოკავშირეებისათვის, რომ უკანასკნელებს უნდა დიდი ძალ—ღონე უნდა მოეკრიბად, რომ ომი არ წაეგოთ.

რომ უზრუნველყო თავი მტრის მოულოდნელ თავდასხმისაგან, ამისათვის საუკეთესო საშვალება არის დაცვა და ძიება. მიუხედავად დაღლილობისა და სიძნელისა, განუწყვეტელი ძიება და მუდმივი დაცვა არამც თუ უზრუნველგვყოფს ჩვენ მტრის მოულოდნელ თავდასხმისაგან, არამედ თავის მხრივ გვიადვილებს ჩვენ მოულოდნელობის მიღწევას.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

**გაზის საწინააღმდეგო საშუალებათა შესახებ.**

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა ფარული, ყრუ ბრძოლა ორ კლასს შორის მოსალოდნელია ყოველ წუთში გადაიქცეს სასტიკ და აშკარა შეიარაღებულ ბრძოლად, ადამიანის მასიურად განმანადგურებელ ახალ საშუალებით—სასიკვდილო გაზებით. ამას გარდა, დილით გამოღვიძებულ ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთ არ შეუძლიათ სთქვან, რომ ისინი უზრუნველყოფილი არიან ამ დღეს რომელიმე მტრის თავდასხმისაგან, თუნდაც ის იმყოფებოდეს რამოდენიმე ათას ვერსის მოშორებით. ეხლა არავის არ შეუძლია სთქვას, რომ იმავე დღეს ის არ გახდება იმის მოწამე თუ როგორ დაიღუპება მომწამვლელ გაზით მისი ამხანაგები, ცოლი, შვილები, მოკეთეები; თუ როგორ იქნებიან მოწამლული, გამოხშობილი, დამწვარი, დაბრმავებული, თუ როგორ შეიშლებიან და სხვა.

და ვერავითარი სიმაგრე, ვერავითარი ჯარი, საზღვარზე გამაგრებული, ვერ დაიცავენ მათ მტრის თავდასხმისაგან: ჰაერში გზა ყველასთვის ღია და თავისუფალია და მტრის ჰაეროპლანებს 2-5 საათის განმავლობაში შეუძლიათ გადმოფრინდენ ჩვენს ტერიტორიაზე და დაგვიშინონ მომწამვლელი გაზით დამზადებული ბომბები.

ასეთი თავდასხმისთვის ყველანი მზად უნდა იყვნენ, მაგრამ პირველ ყოვლისა მეომრები.

მაგრამ იქნება თუ არა მზად ის მეომარი დაიცოს თავისი ქვეყანა, ამხანაგები, მოკეთეები და თავისი თავი, თუ მას არ ექნება თან გაზის საწინააღმდეგო საშუალებანი? რასაკვირველია არა.

რაც გაბედული და თავის ქვეყნისთვის თავდადებული არ უნდა იყოს მეომარი, მოულოდნელ თავდასხმის დროს, მცირედი გაზითაც კი მას უცებ აუტყდება ხველა, ცხვირის-ცემინება (ცხიკვება), აევსება თვალები ცრემლებით და გახდება სასაცილო, უსუსური და თავდაცვის უნარს მოკლებული არსება, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიარაღებულია საუკეთესო შაშხანით და საკმაო ვაზნებით.

მაგრამ რაღა სასაცილოა ისეთი მდგომარეობა, როცა მტერი გამოუშვებს მომწამვლელ გაზს ან რომელიმე გაზის დიდ რაოდენობას. ასეთ შემთხვევაში მეომარს დაღუპვა მოელის. **ეს უნდა ახსოვდეს ყოველ მეომარს და ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს გაზის საწინააღმდეგო საშუალებანი.**

მხოლოდ გაზის საწინააღმდეგო საშუალებით-უზრუნველყოფილ მეომარს შეუძლია თავდასხმის დროს დაიცვას თავისი ამხანაგები და პასუხი გასცეს მტერს.

ლ. ვორონოვი.

# ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

## ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘᲐᲜ

12 აპრილს გაიხსნა ბავშთა კომუნისტური ჯგუფების (პიონერთა) მეორე ყრილობა.

ყრილობაზე ირჩეოდა საკითხები საბავშო კომუნისტურ პრესისა და ბურჟუაზიის დამოკიდებულების შესახებ პროლეტარიატთან.

რუსეთის პიონერთა მისალმებაზე ყრილობამ უპასუხა მისალმების დეპეშით, რომელშიაც გამოთქმულია ღრმა მწუხარება ლენინის გარდაცვალების გამო.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლენინი.

# ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ.

სოხუმში მოვიდა დიდი სეტყვა. ტემპერატურამ დაიწია. ზღვაზე ქარიშხალი მძინვარებს.

# ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

**საკითხის დასმა.** დისციპლინის საკითხი ჯერ კიდევ გ. წ. დამლევს იყო დასმული ამხ. ფრუნზეს მიერ არმიის პოლიტსამმართველოების და დივიზიების პოლიტგანყოფილების უფროსების თათბირზე. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევსაბჭომ იმავე წლის დეკემბრის პლენუმზე აგრეთვე შეეხო ამ საკითხს და მიიღო მთელი რიგი დადგენილებათა წითელ არმიის რიგებში დისციპლინის განმტკიცებისათვის. მის შემდეგ ყოველგვარ თათბირებზე, რომლებზედაც იჭრებოდა წითელ არმიის აღმშენებლობის საკითხები, დისციპლინის საკითხს ეკავა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი.

**სამხედრო პრესა.** მთელი წითელ არმიის პრესის და აგრეთვე ჩვენი გაზ. „წითელ არმიელი“-ს ყურადღება მიქცეული იყო აქეთკენ, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესად გაზეთში თავსდება ნაწილების სამხკორებისაგან მოწოდებული წერილები დისციპლინის შესახებ და ნაკლებად წერილები ნაწილების მეთაურებისა. ნაწილების სამხკორები კი უმთავრესად სწერენ დისციპლინის დარღვევების შემთხვევების შესახებ და ნაკლებად მიღწევებზე.

**კედლის გაზეთი.** კედლის გაზეთებს მეტად დიდი მნიშვნელობა ექვთ ამ საკითხის ნაწილებში მოგვარებისთვის. ყოველი ცალკე შემთხვევა დისციპლინის დარღვევისა დაწვრილებით უნდა გაშუქდეს კედლის გაზეთში და აუცილებლად მნიშვნელოვან ადგილას, სასურველია სათაურში, თუ გაზეთის გაშვების დროს ტარდებოდეს რომელიმე სააგიტაციო კამპანია. ამავე დროს კარგად უნდა იქმნეს შეთვისებული, რომ დისციპლინის განმტკიცებისთვის მუშაობა არ უნდა ტარდებოდეს, როგორც ერთდროული კამპანია, არამედ მას აქვს მუდმივი ხასიათი, რის გამო მუშაობა ამ დარგში ერთ წუთითაც არ უნდა შესუსტდეს.

**არავითარი დაუდევრობა ბრძანების ასრულების დროს.** ის ამხანაგური მიდგომა, რომელიც არსებობს წითელ არმიაში უფშემადგენლობის და წითელ-არმიელთა შორის არ უნდა გახდეს მიზეზად სამსახურისადმი მოთხოვნილებების შემცირებისთვის. მეთაურის მიერ უნდა იქმნეს მოთხოვნილი ის, რასაც თხოულობს სამსახური და ამხანაგური დამოკიდებულება არსებობდეს სამსახურის გარეშე. არავითარ უთავბოლობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. სამსახური თხოულობს გაცემულ ბრძანების ასრულებას და ყოველგვარი გადახრა და შეუსრულებლობა უნდა იქნეს დასჯილი ვინაიდან ხელს უწყობს წითელ არმიის ძალის შესუსტების საქმეს.

**წითელ-არმიელთა დისციპლინარულ წესით დასჯა აღმზრდელობითი მიზნით.** ხშირად შეცდომები და ცალმხრივი გადახრაა სასჯელის მიცემის დროს. ამიტომაც სამუდამოდ უნდა იქნეს შეთვისებული, რომ დისციპლინარული სასჯელი არ არის დასჯა, არამედ იცემა მხოლოდ წითელ არმიელის აღმზრდელობითი მიზნით. ყოველი ცალკე შემთხვევა დისციპლინის დარღვევისა სასჯელის მიცემამდე უნდა იქნეს ყოველმხრივად შესწავლილი და იქნეს შემოწმებული თუ ვინ იმოქმედა ამგვარად, ძველმა თუ ახალმა წითელ არმიელმა, რა პირობებში მოხდა საქციელი, რამ გამოიწვია და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სასჯელის დადება ან გაფრთხილების გამოცხადება.

**საჩვენებელ სასამართლოები.** ყოველი შემთხვევა განკარგულების შეუსრულებლობისა ან უწესრიგობისა არა მარტო უნდა დაისაჯეს, არამედ გამოტანილი იქნეს სასამართლოდ წითელ-არმიელთა ვრცელ მასებში საჩვენებელ სასამართლოების მოწყობა, თვით წითელ არმიელების მონაწილეობას აქვს ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა.

**დისციპლინა და უფშემადგენლობის ავტორიტეტი.** ერთ ერთ უარყოფით მხარედ დისციპლინის განმტკიცების საქმეში უნდა ჩაითვალოს უფშემადგენლობის უნცროსებისაგან ნაკლებ მოთხოვნილებების წაყენება და აქედან ადგილს პოულობს სადარაჯო სამსახურის უყურადღებოდ შესრულება, უწესრიგობა და უსუფთაობა ყაზარმების შენობებში, თვითნებითი წასვლა, იარაღის ცუდათ მოვლა და სხვა.

ცხადია, რომ ნაკლებ მოთხოვნილებას თან მოყვება მისი ავტორიტეტის დაცემა. ავტორიტეტის საკითხი კი მჭიდროთ არის დაკავშირებული დისციპლინის საკითხთან. უმთავრესად ეს ეხება უნცროს მეთაურებს.

**გადახდევინების და წახალისების ჟურნალები.** ასეთი ჟურნალები შემოღებულია ყველა ნაწილებში, მხოლოდ ბევრნი მეთაურები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ ჟურნალის შევსების საქმეს და თუ თავსდება შენიშვნები, უმთავრესად ისინი ეხებიან გადახდევინების შემთხვევებს და ნაკლებად წახალისების. სამაგალითო წითელ-არმიელის წახალისებას არა ნაკლები აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მასებისთვის, ვიდრე დისციპლინარული სასჯელს.

აგრეთვე უნდა იქნეს მოწესრიგებული ნაწილებში კითხვა-პასუხის რვეულების წარმოება. ყოველმა წითელ-არმიელმა უნდა იცოდეს, რომ მის ნაწილში შემოღებულია ასეთი ჟურნალი, რომელიც მისცემს მას სათანადო პასუხს მის შეკითხვაზე.

**დისციპლინა და პარტორგანიზაცია.** უმთავრესი ყურადღება ნაწილის პარტიული ორგანიზაციისა უნდა იქმნეს მიქცეული ნაწილის აღმშენებლობის საქმისაკენ. შეუძლებელია ნაწილის აღმშენებლობისაკენ მუშაობა თუ არ არსებობს მტკიცე დისციპლინა თვით კოლექტივის წევრთა შორის. დისციპლინის საკითხები უნდა იქნეს გარჩეული პარტიულ კრებებზედ; კომუჯრედებმა უნდა შეისწავლონ აგრეთვე დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მიიღონ სათანადო აღმზრდელობითი ზომები, თუ დაუდევრობა იქნა დაშვებული პარტიული ამხანაგის მიერ.

**პარტიის ყოველმა წევრმა უნდა შეისწავლოს წითელ-არმიის დისციპლინარული პოლიტიკა.**

აქამდი ცოტა ექცეოდა ყურადღება პოლიტშემადგენლობის მიერ დისციპლინარულ პოლიტიკის შესწავლის საქმეს. ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს. ვინაიდან პოლიტმომუშავეს არ შეუძლია ბევრის მოთხოვნა წითელ-არმიელისაგან იმისა, რაც თვით მას არ აქვს კარგად შესწავლილი და შეთვისებული

ასე განუწყვეტელი მუშაობით ჩვენ უნდა ავამაღლოთ დისციპლინა ისე, როგორც ეს შეჰფერის მუშათა და გლეხთა წითელ-არმიას.

ი. რუდოვსკი.

# პარტიული ცხოვრება.

## სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის საქმიანობიდან.

10 აპრილს კომუჯრედის სხდომაზე სხვა საკითხთა შორის დასმული იყო გამსინჯავ კომისიის შედეგების გაცნობა.

გასინჯვამ გამოარკვია ზოგიერთი უარყოფითი მხარეები კომუჯრედის და თვით წევრების მუშაობაში. ეს უარყოფითი მხარეები უნდა იქმნენ გამოსწორებულნი საჩქაროთ.

გამოირკვა, რომ ზოგიერთი ამხანაგები ვერ აქცევენ ყურადღებას თვითგანვითარებას პოლიტიკურად.

ეს ამხანაგები უჯრედმა უნდა აიყვანოს აღრიცხვაზე და გააძლიეროს მათთან მეცადინეობა.

ზოგიერთი ამხანაგები სრულიად არ კითხულობენ გაზეთებს და არ არიან გაცნობილი მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებას.

კომუჯრედმა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი. ყოველ ოთხშაბათს გაიმართება ე. წ. „პოლიტიკური მიმოხილვა", რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე რამოდენიმე ამხანაგების მიერ და შემდეგ გაიმართება სჯაბაასი.

უეჭველია, რომ კომუჯრედის ასეთი ნაბიჯი გამოიტანს შესაფერ ნაყოფს. მხოლოდ აქ საჭიროა თვით ამხანაგების უნარიანობა და ენერგიული მუშაობა.

ხ—ლი.

## ახკომკავშირელთა შორის.

ქართულ სამხედრო სკოლის ა. ლ. კ. კ, მუშაობა.

რამოდენიმე თვეების წინად ჩვენს სკოლაში არსებობდა კავშირის ერთი უჯრედი, მაგრამ შემდეგ ჩვენმა უჯრედმა შესძლო თავის ნაყოფიერი მუშაობის საშუალებით აემაღლებია ავტორიტეტი უპარტიო ახალგაზრდობაში; ამ გარემოებამ გამოიწვია ახალგაზრდობის ლტოლვა ჩვენი რიგებისაკენ; ამიტომ ბიურო კოლექტივმა საჭიროთ სცნო დაეარსებია ხუთი უჯრედი, რადგანაც საამისო პირობები ხელსაყრელი იყო.

ეხლა კი ჩვენი ბიუროკოლექტივი აერთიანებს ხუთასი წევრისაგან შემდგარ ხუთ უჯრედს.

მთლიანი ჩვენი უჯრედი მეცადინეობის მხრითაც დაყოფილია ხუთ ჯგუფად და სწარმოებს მეცადინეობა რესპუბლიკის პოლიტ-სამმართველოს მიერ გამომუშავებულ პროგრამის მიხედვით. უმთავრესი ყურადღება ექცევა კავშირის წევრების ყოფა-ცხოვრების და ზნეობის საკითხებს და იმისათვის, რომ ძირშივე იქნას მოსპობილი წევრებში ძველი ტრადიციები, ხშირად ტარდება მოხსენებები ყოფა-ცხოვრების საკითხზე. ამ მნიშვნელობით კავშირი ხშირად აწყობს აგრეთვე გასამართლებებს და დიდ ანგარიშს უწევს უჯრედში მომწიფებულ ყველა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას.

**აქტიობაში ჩაბმა.**

უჯრედებში სწარმოებს კავშირის წევრების ხარისხობრივი აღრიცხვა აქტიობაში ჩაბმის მიზნით. არ არსებობს ჩვენს სკოლაში არც ერთი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანო, რომ მას ხელმძღვანელობას არ უწევდეს ჩვენი კავშირის წევრები.

**კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.**

ჩვენს უჯრედს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი სოფლის უჯრედები და დიდი ყურადღება ექცევა იქ მუშაობას. ამას გარდა დაკავშირებული ვართ ხუთ საწარმოო დაწესებულებების უჯრედებთან და მათთან ერთად ხშირად ვატარებთ კამპანიებს სხვა და სხვა მნიშვნელოვან დღესასწაულების დროს.

**კავშირის გამომცემლობა.**

ჩვენი კავშირის ძალებით უშვებთ კედლის გაზეთებს ყოველ ორ კვირაში ერთხელ. ამ ჟამად ბიურო კოლექტივს განზრახული აქვს გამოუშვას ჩვენივე ძალებით ჟურნალი.

ვ. ბერიძე.

## კულტურულ ფრონტზე.

### მესანგრეთა ასეულის ლიტწრე.

კარგი ხანია მას შემდეგ, რაც პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულში დაარსებული იქნა ლიტერატურული წრე. თავიდანვე ძლიერ ნელი ტემპით სწარმოებდა მუშაობა. ამ უკანასკნელ ხანებში წრე ცოტა გამოცოცხლდა. ხელმძღვანელები კარგი გვყავს. კვირაში სამჯერ სწარმოებს მეცადინეობა. ამას გარდა წრე ხშირად აწყობს ლიტერატურულ გასამართლებებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 11 აპრილს გამართული ლიტ-წრე.

გვასამართლედ დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის" გმირი ვარდუა.

ლიტერატურულმა სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: ვარდუამ შურის საძიებლად მიჰყო ხელი მკითხაობას. დურმიშხანი დამნაშავე იყო მის წინაშე, რადგან მისმა საქციელმა ყველაფერზე ხელი აალებია ქალს. წაყენებულ ბრალდებებში ვარდუა არ არის დამნაშავე. ყველა ეს ბრალდებები სამართლიანად გადატანილი უნდა იქნეს თვით დურმიშხანზე.

საზოგადოება ტაშით შეეგება განაჩენს.

წ. არმ. ფიოლია.




## პოლიტ-საათები ჩვენთან.

პირველი ლეგიონი.

წითელ არმიელების ჩვენს ნაწილებში მოსვლის დღიდან პოლიტსაათები სისტემატიურად ტარდებოდენ ლეგიონის ყველა ნაწილებში. იყო სხვა და სხვა ხელის შემშლელი პირობები, მაგრამ საერთო ჯამით მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო.

ერთი ხელის შემშლელი მიზეზი მუშაობაში იყო ის, რომ არ გვქონდა საჭირო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, საერთოდ სათანადო ლიტერატურა, რომ მეცადინეობის შემდეგ შესძლებოდათ არმიელებს ეკითხათ წიგნები და კიდევ უფრო გაეფართოებიათ საუბრების დროს მოსმენილი საკითხები.

ეს დანაკლისი ეხლაც საგრძნობია ლეგიონში და მოითხოვს დაუყონებლივ გამოსწორებას.

მეცადინეობა ატარებს ჯგუფურ ხასიათს, რამაც კარგი შედეგები მოიტანა. ასეულები კი თამამად თავსდებიან თითო ჯგუფში და მეცადინეობაც მათთან გაადვილებულია.

პარტიის წევრები მეთაურები საუბრების ჩატარებაში დიდ დახმარებას უწევენ პოლიტხელებს.

ბიურო კოლექტივის მიერ მათ დავალებული აქვთ აწარმოონ მეცადინეობა არმიელებთან, რასაც ისინი ინტერესით ასრულებენ.

სამხკორი ს. ინაიშვილი.

## საკავშირო გუნდი გამოცოცხლდა.

პირველ ხანებში, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში—გუნდში ძლიერ შესუსტებული იყო მუშაობა. ყარაულში სისტემატიურად სიარულმა ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოგვარჩინა სხვა ნაწილებზე.

ამ ჟამად ყარაულის ვალდებულებიდან სრულიად განვთავისუფლდით და ამან საშვალება მოგვცა გაგვეცხოველებია სპეციალური მეცადინეობა, რომელიც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

წითელ არმიელები დიდი სიფრთხილით და გულდასმით ეკიდებიან სპეციალურ სამხედრო საქმის შესწავლას.

მეთაურებიც საერთოდ მონდომებულად ეკიდებიან თავის მოვალეობას.

იმედია მოკლე დროში ჩვენი ნაწილი შესძლებს სამხედრო მომზადებით გაუთანასწორდეს სხვა ნაწილებს.

სამხკორი მ. ქოჩიაშვილი.

## კარგად მოვეწყვეთ.

6 ხე ლეგ. 9-რე ასეული.

პირველ ხანებში, სანამ ლეგიონის უშუალო მზრუნველობის ქვეშ ვიყავით, ასეულს ძლიერ უჭირდა თავისი საქმეების მოგვარება, რადგანაც ცენტრიდან ძლიერ დაცილებული ვართ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გამოკეთდა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ სათანადო დახმარება გაგვიწია.

საცხოვრებელი ბინები კარგი გვაქვს. დაცულია სისუფთავე.

გვაქვს საკუთარი სასადილო, წერა კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო სკოლა და სხვა.

ასეულში საკმაო ნაყოფიერებით სწარმოებს სამხედრო და კულტ-პოლიტიკური ხასიათის მუშაობა. ლენინის და სამხედრო კუთხეები ლამაზად და შინაარსიანად არიან მოწყობილი.

მწვევამდელებთან წარმატებით მიმდინარეობს წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია. მასწავლებელი მოგვცა ადგილობრივმა პოლიტგანმა. წერა კითხვის უცოდინართა რიცხვი ასეულში 60 პროც. აღწევს.

ყველას დაურიგეთ წიგნები და სხვა სამოსწავლო ნივთები.

პოლიტ-საუბრებით ძლიერ დაინტერესებული არიან წვევამდელები და კარგადაც ითვისებენ ყველა თემებს.

სამხედრო მეცადინეობას დიდი ყურადღებით ეპყრობიან.

უნდა მიექცეს მხოლოდ ყურადღება ერთ გარემოებას.

ვარჯიშობისათვის არა გვაქვს საჭირო იარაღები და ამ საქმის მოგვარება, როგორც ასეულის კვების აუცილებელია.

დ. ჭანკვეტაძე.

## განვამტკიცოთ დისციპლინა.

მეხუთე ლეგიონი.

აპრილის პირველ რიცხვებში შესდგა მეხუთე ლეგიონის პირველი ასეულის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება.

კრებამ მოისმინა მოხსენებები დისციპლინის, სამნეო მდგომარეობისა და სხვათა შესახებ.

დისციპლინის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ათასეულის თავი ამხ. ცინცაძე. ის დაწვრილებით შეეხო დისციპლინის მნიშვნელობას საერთოდ და კერძოთ კი ჯარში. ამხანაგმა აუარება მაგალითები მოიყვანა იმის შესახებ, თუ შვებულებაში წასული არმიელები ნაწილში დაუბრუნებლობისა და დეზერტირობის გამო, როგორ გზას ადგებოდენ და პირდაპირ იღუპებოდენ.

ბოლოს ამხანაგმა მოუწოდა შემადგენლობას მტკიცედ დაიცვან და შეებრძოლონ დეზერტირობას.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც ის ზიზღს უცხადებს ყველა დეზერტირებს დისციპლინის დამრღვევთ და თავის მოვალეობის არა პირნათლად შემსრულებლებს.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება სამნეო დამხმარე ჯგუფის მუშაობის შესახებ, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

ჯგუფში არჩეული იქნენ ახალი ამხანაგები.

სამკორი ოგანოვი.

## გამოცდები სამხედრო სკოლაში.

სამხედრო პოლიტ-სკოლაში გაცხოველებული მეცადინეობა სწარმოებს. კურსანტები გაფაციცებით ემზადებიან გამოცდებისათვის, რომელიც 11 აპრილს დაიწყოთ. თითეული მათგანი გატაცებით უჯდა წიგნებსა და ფანქრითა და რვეულებით ხელში, იწერდენ, ცნობებს კრებდენ. გამოცდების დაწყებისას ყველას მოუთმენლობა ემჩნეოდა, რაღაც ფარული სიხარული აცუდლუტებდა თითეულ მათგანს.

—კაცო! ეს ოხერი—წუხელ მთელი ღამე კითხვაში გავათენე, მეძინება—თურმე ცუდი ყოფილა ასე გამუდმებული მეცადინეობა.

—ეჰ, ბიჭო! ცოტა კიდევ და ჩვენც ჩავებმებით ჩვენი ჯარის პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში.

—მე ჩემი სოფლის სამაზრო აღმასკომში შევალ; იქ უნდა გამოვაცოცხლო მუშაობა, არ მაკმაყოფილებს—უპასუხებს მეორე ამხანაგი.

საერთოთ იშვიათია ისეთი გატაცება მომავალ მუშაობით და ხალისიანი ფიქრი და ოცნება საზოგადოებრივ სამუშაოზე—როგორც ჩვენი სკოლის კურსანტები იჩენენ.

წითელი ჯარი მოუთმენლათ ელის მათ გამოშვებას—რადგან ჩვენ ვიცით, რომ ისინი ახალ ნაკადულათ შეიჭრებიან შიგ და უსათუოთ გააცხოველებენ ჩვენ პოლიტ-მუშაობას.

იქაური.

## სამაგალითო ნაწილი.

მიბაძეთ 1-ლ ასეულს.

1-ლ ლეგიონის 1-ლ ასეულის წ.-მოლაშქრეებმა გასულ თვეში დაარსეს ქიმიური და საჰაერო ფლოტის საზოგადოების უჯრედები.

კრებაზე აირჩა ორივე საზოგადოების უჯრედის ხელმძღვანელები. წ.-მოლაშქრეები ხსენებული საზოგადოებებში ეწერებოდენ თავის სურვილით.

გასულ თვეში თავისი სურვილით გადაიხადეს ქიმიის უჯრედის მთელი წლის საწევრო გადასახადი. საჰაერო ფლოტის კი მიმდინარე თვეში.

ფული ჩაბარდა ლეგიონის რწმუნებულს. 1-ლი ასეული იწვევს ასეთივე საქციელში: ლეგ. უნცროს მეთაურთა სკოლას, მე 3-ე, მე-4 ე, მე-5 ე. მე-6-ე, მე-7-ე, მე-8-ე, მე-9-ე სეულებს სამნეო გუნდს, ბატარეიას, საკავშირო გუნდს და ლეგ-შტაბის და სამნეო ნაწილის გადამწერებს.

მინდობილობით სამხკორი კვინიკაძე.

## სამკითხველოში მუშაობა უნდა გამოცოცხლდეს.

პირველი საკავშირო ასეული.

6 აპრილს ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის ღია კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ასეულის სამკითხველოს მუშაობის შესახებ.

სამკითხველოს გამგედ დაინიშნა საქმის სრულიად უცოდინარი და გამოუცდელი ამხ. ლომთათიძე. როგორც გამოირკვა მისი მოხსენებიდან, პირველ ხანებში მაინც ძლიერ გაძნელებია ამხანაგს სამკითხველოს საქმეების მოწესრიგება. ამხანაგმა ვრცელი ანგარიში წამოგვიყენა იმის შესახებ თუ რამდენი ახალი წიგნი შეუძენია ასეულისათვის და სხვა.

მომხსენებელმა თვითონ აღიარა, რომ ის ხშირად ვერ ერკვეოდა, თუ როგორი წიგნები სჭირდებოდა არმიელებს.

კრებამ დაავალა ამხანაგს უფრო ენერგიულად მოჰკიდოს ხელი საქმეს, მაგრამ ჩემის ფიქრით ეს არ კმარა მუშაობის გამოცოცხლებისათვის. საჭიროა პირველ ხანებში მაინც მიხვდეს სამკითხველოს გამოცდილი ამხანაგის ხელი და საჭირო რჩევა დარიგებანი მისცეს ჩვენი სამკითხველოს გამგეს, რომელიც უფრო გაუძღვება შემდეგში თავის საქმეს.

სამხკორი შალაშინი.

## პასუხი გამოწვევაზე.

**ვღებულობ** რა 6 **ლეგსამხკომის ამხ. ბერიძის გამოწვევას,** ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელი“-ს ერთი თვით სიღნაღის მაზრის თემ „ტიბაანის“ სამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

**ქუთაისიდან:** 1. მე-5-თე ქართ. მსროლელ ლეგიონის სამხკომს ამხ. ცინცაძეს. 2. ამავე ლეგიონის ბიურო კოლექტივის მდივანს ამხ. მამარდაშვილს. 3. ლეგ. უნცროს მეთაურთა სკოლის უფროსს ამხ. პლატონ ქარქაშაძეს. 4. ქართულ არტ-ლეგიონის სამხკომს ამხ. ნოე ბარამიძეს. 5. ამავე არტ-ლეგიონის ბატარეის სამხკომს ამხ. ვალიკო ოჩიგავას. 6. არტ-ლეგიონის სამხკომის მდივანს ამხ. აბზიანიძე-კორნელის.

**6-ე ლეგიონიდან:** ამხ. ზამთარაძეს, ტულუშის, ხუციშვილს, გუგუნავას, ხომერიკის და მეტრეველს.
ქუთაისის მაზრის კომ. მეურნ. პროფ კავშირის პ.-მგებელ მდივანს ამხ. გიორგი გულივერდაშვილს.

**ქუთაისის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებიდან:** 1. ამხ. იოსებ კაჭახიძეს, 2. ივანე ნასარიძეს, 3. ლუკა მერკვილაძეს და 4. კოწია მგალობლიშვილს.

კლუბის უფროსი: **დ. ჭანტურიშვილი.**

## აღარ გვყავს დეზერტირები.

მეოთხე ლეგიონის მეხუთე ასეულმა წვევამდელებთან მეცადინეობა დაიწყო თებერვლის უკანასკნელ რიცხვებიდან პირველ ხანებში სამეცადინო წერტზე ძლიერ გავრცელებული იყო დეზერტირობა.

ამის უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ წერტზე მიწერილი იყვნენ 30 და მეტ ვერსით დაცილებულ სოფლებიდან.

ახალი განკარგულების თანახმად მოხდა დაჯგუფება. წერტზე მოწერილი დარჩენ მხოლოდ 5-თი ვერსის რადიუსის ფარგლებში მოთავსებული სოფლები და დეზერტირობასაც მოეღო ბოლო.

ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა წერტის კედლის გაზეთმა, რომელსაც უშვებენ თითონ წვევამდელები.

წვევამდელების უახლოესი მონაწილეობით მოწყობილი იქნა აგრეთვე წვევამდელ დეზერტირის გასამართლება და ამანაც დიდი გავლენა იქონია.

მეცადინეობა შეუჩერებლად სწარმოებს. გვაქვს მშვენივრად მოწყობილი ორი დიდი დარბაზი.

სიტყვიერი მეცადინეობის დროს ყველას ეძლევა საშვალება დამსხდარი მოისმინონ გაკვეთილები.

ძლიერ გვაბრკოლებს ის გარემოება, რომ წერტის სიახლოეს არ მოიპოვება ვაკე ადგილი სადაც შეიძლებოდეს სამწყობრო მეცადინეობის წარმოება.

**ს. ნიშნიანიძე.**

## მოხსენება ვენერიულ ავადმყოფობაზე.

ცენტრალური კლუბი.

ორშაბათს, 13 აპრილს ცენტრალურ კლუბში სანგანათლების დრამატიულმა დასმა გამართა მორიგი საღამო.

პიესის დაწყებამდე ექიმმა ლომოურმა გააკეთა მოხსენება სუსუნატზე (ტრიპერი).ის შეეხო ამ ავათმყოფობის გავრცელების მიზეზებს და მკურნალობას.

ექიმ ლომოურის მოხსენება ისევე როგორც მისი წინა მოხსენებები ფრიად შინაარსიანი იყო და ძლიერ დაინტერესა დამსწრე წითელ-არმიელები. მოხსენებამ მრავალი შინაარსიანი შეკითხვები გამოიწვია წითელ-არმიელების მხრიდან.

შემდეგ დაიდგა ს. წერეთლის პიესა „ვენეროლოგის კაბინეთში“.

პიესა სამ მოქმედებიანია და დაწერილია ცოცხლათ. პიესაში გამოყვანილი ავათმყოფები სულ სხვა და სხვანაირად უყურებენ ამ ავადმყოფობას. ზოგს იგი მიაჩნია უბრალო სენათ და არ აქცევს არავითარ ყურადღებას, რასაც მოჰყვება ძლიერ ცუდი შედეგი. ის ავადმყოფი, რომელიც უჯერებს ექიმს და ასრულებს მის დარიგებას, საბოლოოდ რჩება.

სასურველი იქნება, რომ ეს პიესა გადატანილი იქნეს ჩვენ ნაწილების სცენაზე, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს წითელ-არმიელებს.

**ე. ხუციშვილი.**

## მოგვეცით წყლის სასმელი კრუშკები და სკამები.

უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლაში გვაქვს ერთი წყლის მოსაკავებელი კასრი. დღიურები მოიტანებენ წყალს და დადგამენ ფანჯარაზე ან და იქვე კარებში. ეს არის და ეს. წყლის დასალევი კრუშკა კი არავის მიაქვს და არცა გვაქვს. არმიელები კასრის სახურავით სმენ წყალს, ზოგი პირდაპირ კასრიდანაც.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ეს დაუშვებელია ჰიგიენურად, იმას მაინც უნდა მიექცეს ყურადღება რომ ყაზარმის კარებში ყოველთვის გამდგარია წუმპე და საშინელ უსუფთაობას ავრცელებს ყაზარმაში.

ნუ თუ ასე გასაჭირია ერთი წყლის სასმელი „კრუშკის“ შეძენა.

ამასთანავე არა გვაქვს სკამები. ყოველ სადილობის დროს ფეხზე გვიხდება სადილის ჭამა.

მოაგვარეთ საქმე ვისაც ეს შეგეხებათ.

სამხკორი **ბაშელი.**

## „დალაქების“ თვალყური ადევნეთ.

არტლეგიონის ექიმის საყურადღებოთ.

არტლეგიონის ყველა ბატარეებს ყავთ თავიანთი დალაქები, რომლებიც სიმართლე უნდა ითქვას ძლიერ უსუფთაოდ და გაუფრთხილებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ბატარეიებში მხოლოდ განსაზღვრული დროში იმყოფებიან ისინი. დანარჩენი დრო კი სხვაგან მიდიან სამუშაოდ, ვინ იცის ვის არ პარსავენ და შემდეგ ჩვენთან მოდიან. იარაღებს არ უკეთდება დეზინფექცია. სხვა უსუფთაობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, საპნის ნაჭრები მთელი კვირაობით აქვთ ჩაყრილი ფინჯნებში და ისე ხმარობენ.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს ექიმებს ერთხელ მაინც მიექციოთ ყურადღება იმ მოვლენისთვის და გაეფრთხილებიოთ დალაქები.

საშიშროება კი დიდია, გამცფებული უსუფთაობისაგან.

მომავალში მაინც ნუ დაუშვებთ ასეთ მოვლენებს.

სამხკორი **ლ—ო.**

## მოუარეთ ტყეს.

**უნდა მოისპოს ჩვენს ტყეებში ყავრის დამზადება.**

ბუნებაში ადამიანს მრავლათ ყავს, როგორც მტრები ისე მეგობრები. მტრებზე არაფერს ვიტყვი, ხოლო, რაც შეეხება მეგობრებს ერთი უერთგულესი და თავდადებული მეგობართაგანი კაცის არის ტყე.

ხალხის კეთილდღეობა მეტრათაა დამოკიდებული ტყის არსებობასთან. ტყეები ჩვენ სხვა სიმდიდრესთან შეფარდებით საკმაოთ მოგვეპოვება.

დაახლოებით ჩვენი სახელმწიფოს სივრცის 32 პროც. ტყეებს უჭირავს.

ამათში ტყის უხეირო მეურნეობის გამო საშენებელი მასალის ხეები თითქმის მომსპარია კარგათ მისადგომ ადგილებზე.

ასეთი სამასალე ჯიშებს შეხვდებით თითქმის ისეთ მიუდგომელ ადგილებზე (ხევებში და კლდეებში), რომ მათი ერთი მეათედი რომ გამოიტანოს კაცმა ისიც დიდი საქმეა.

დანარჩენი კი ოხრდება და ნადგურდება უგზოობის გამო.

ნათქვამია: „რამდენათ ტყის მეურნეობა მიზან შეწონილი და გეგმიანია, იმდენათ მხარე კულტურული“-აო. ამ გვარათ ამა თუ იმ სახელმწიფოს კულტუროსნობის საზომათ განათლებულ ქვეყნებში ტყე მიაჩნიათ.

მაგ. ავიღოთ თუ გინდა ყავრის დამზადება. ყველამ იცის რომ ხდება ძლიერ სწორი უფორმო ხეებისაგან, ამიტომ ერთი ურემი ყავარი, რომ გააკეთოს ჩვენმა გლეხმა, თუთხმეტამდე ხეს საშინჯ ნაფოტს აცლის, ხუთს მოჭრილს მიატოვებს, და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენ ზარალს არ შვრება მოჭრილი ხეების ძირს წაქცევის დროს, რომ ბოლოს ერთი ურემი ყავარი დაამზადოს და ბაზარზე 1 თუმნათ გაყიდოს.

ნაფოტ აცლილი ხეები როგორც წინა წერილში ვამბობდი ადვილათ ავათმყოფდებიან, როგორც მავნებელ მწერების ისე სოკოებისაგან.

ასეთი უდიერი მოპყრობით მრავალი ტყეებია განადგურებული.

ამიტომ აუტანელი და დაუშვებელია ტყეებში ყავრის გახდა, რადგანაც მრავალი ხე ეწირება მსხვერპლათ ისე უბრალოთ და უსარგებლოთ ერთ მუჭა ყავრის დამზადებას.

იმ დროს როდესაც სულ ადვილი ხერხით და უკეთესი ღირსების მასალით შეგვიძლია დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილება ყავარზე. ყველა ჩვენგანმა იცის რა არის თიხა (ზოგ პროვინციებში ამას აყალოს ეძახიან). აი სწორეთ ამ თიხისაგან მზადდება მშვენიერი ღირსების აგური და კრამიტი.

ესეთი მიწა მოიძებნება ყოველ თემში, მხოლოთ აქ უნდა ინიციატივა რომ დაარსდეს აგურ—კრამიტის საშენი ქარხანა. ეს დიდს არაფერს თხოულობს და არც სპეციალობას.

ამგვარათ თუ თემის მესვეურნი მიიღებენ ასეთი ქარხნის გაკეთებას თავზე გლეხების დახმარებით, ჩვენს მოსახლეობას ექნება ასაშენებელ-დასახურავი მასალა და ბედშავ ტყეს ის უბედურება შეუმსუბუქდება საგრძნობლათ, რომელშიდაც არის დღეს ჩავარდნილი ჩვენი დაუდევრობის გამო.

**მ. დ.**

## ამბები სოფლებიდან.

**სწავლა-განათლება სოფლად.** ამ ჟამად დვაბზუს თემში (გურია) არსებობს 2 შვიდწლედი, 5 ოთხწლედი და 5 ქოხ-სამკითხველო.

**სოფ. ვანის** (ქუთ. მაზრა) რაიონში, ახლო ხანში მოწყობილი იქნება ბამბის მეურნეობის საცდელ-საჩვენებელი ყანა.

ქუთაისის სამაზრო აღმასკომი სათესლე ფონდიდან გაჭირვებულ გლეხებს ურიგებს სათესლე მასალას უფასოთ.

**სახალხო სახლის აგება.** ს. ცხემლის გლეხები (ოზურგ. მაზრა) თავიანთი საშუალებით აგებენ სახალხო სახლს და სკოლისათვის დიდ შენობას.

## ახალი ამბები.

— **წიგნები კოოპერაციაზე** წარმოკავშირის გამგეობამ გადასწყვიტა მიმდინარე წელში გამოსცეს მთელი რიგი წიგნებისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებზე.

— **ტყავის დამზადება.** გასულ წელს საქართველოში დამზადებულ იქნა 313,380 ცალი ტყავი, ღირებული 660,800 მან.

**აეროპლანების** მიმოფრენის შესახებ ცნობების ჩქარა მისაწოდებლათ ფ.—ტელეგრაფის კომისარიატის ბრძანებით ნება დაერთო საჰაერო ფლოტს რიგს გარეშე ისარგებლოს ქალაქთა შორისო ტელეფონით.

— **მესაქონლეობისათვის** ა. კ. სასოფ. ს. გ. ბანკმა გასული წლის 1-ლ აპრილიდან ამა წლის 1-ლ აპრილამდე საქართველოში მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად გლეხებს სესხად მისცა 274.000 მან.

— **მატყლის დამზადება.** ამავე ხნის განმავლობაში აღნიშნულმა ბანკმა გლეხებს მატყლის დასამზადებლათ მისცა სესხათ 289 ათასი მანეთი.

— **ფართალის შემოტანა.** საქ. შინა-ვაჭრობის კომისარიატს განზრახული აქვს რუსეთიდან საქართველოში ყოველთვიურად შემოიტანოს 75 ვაგონი ფართალი.

— **ჭაობების ამოშრობა.** ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობათ ა.-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 20,000 მან.

— **საექიმო დახმარება.** საქ. დამზღვევმა სალაროებმა გასულ წელს საექიმო დახმარების საქმეზე დახარჯეს 577,717 მან. 72 კაპ.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** წელზე მეტია რაც წითელ არმიის რიგებში ვართ და არავითარი შვებულებით არ გვისარგებლია. გთხოვთ გვიპასუხოთ რა წესით შეიძლება მოკლე ვადიან შვებულებით სარგებლობა?

**პასუხი.** თანახმად ს. ს. რ. კ. სამხედრო რევსაბჭოს წ. წ. № 821 ბრძანებისა შვებულება მიეცემათ ერთი წლის ჯარში სამსახურის შემდეგ საპატიო მიზეზების გამო 3 დღიდან 10 დღემდე.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ნ. თავართქილაძეს.** თქვენი წერილი „კურსანტების გამოშვების შესახებ“ არ გამოდგა. კარგი იქნება თუ მოგვწერთ როგორ ემზადებიან ისინი თავისი დიდი მოვალეობის ასასრულებლად ჩვენს ნაწილებში და სოფლებში მუშაობის დროს.

**ამხ. ს. მეფარიშვილს.** „ექსკურსიაზე“ არ გავა. ამის შესახებ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გ. ლეჟავას.** თქვენი წერილი: „პირველი ლეგიონის მეორე ასეულის ცხოვრებიდან“ არ გამოდგა.

**ამხ. ლ. გიორგაძეს.** კორესპონდენცია „ჩვენი მუშაობა“ არ დაიბეჭდება. სწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ. ჩიქოვ ნს.** „არტლეგიონის ახკომკავშირის მუშაობიდან“. გამოუსადეგარია. საჭიროა ფაქტები იმის შესახებ თუ რა კეთდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კურსანტს გელაშვილს გიორგი არსენის-ძეს კანდიდატობიდან პარტიის წევრათ გადარიცხვის შესახებ. ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი: ავლაბარი, სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედს.

მდივანი მითაიშვილი.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

ა. ნ. ღ. ს. ც.    სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.